შრომითი ურთიერთობის შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები მხარეთა ინტერესების დაბალანსების ჭრილში

სოფიო სირაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქათამაძე, სამართლის დოქტორი; ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ს. სირაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს თითოეული ადამიანის ყოფისა და ცხოვრების განუყოფელი ნაწილის - შრომითი ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის - შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლების განხილვა მხარეთა ინტერესების დაბალანსების ჭრილში, მათი სპეციფიკის შეფასება და არსებული მრავალფეროვანი პრაქტიკის დაკავშირება როგორც ეროვნულ საკანონმდებლო, ისე საერთაშორისო აქტებთან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომის სამართალი წარმოადგენს კერძო სამართლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, აღნიშნულის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ აღნიშნულ სფეროში ძალიან ხშირად ხდება მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული და განმტკიცებული შრომის უფლების ხელყოფა, შელახვა.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილულია შრომითი ურთიერთობის არსი, მისი წარმოშობის ისტორია, ეტაპობრივი განვითარება და რაც მთავარია ნაშრომის ძირითადი მიმართულება - შრომითი ურთიერთობის შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძვლების სპეციფიკა და აღნიშნულის ურთიერთმიმართება არსებულ პრაქტიკასთან მხარეთა ინტერესების დაბალანსების ჭრილში.

კვლევის ფარგლებში მიმოხილულია ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ნორმები და აღნიშნული განხილულია საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით, ამასთან, ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემატიკა და აღნიშნული პროცესების მიმართ განვითარებულია ავტორისეული რეკომენდაციები, შეხედულებები და მათი მოგვარების გზები, საშუალებები.

ABSTRACT

The main goal of this paper is to discuss the grounds for suspending the employment relationship, which is an integral part of each person's existence and life - one of the important elements of labor relations - in terms of balancing the interests of the parties, evaluating their specificity and connecting the existing diverse practices with both national legislative and international acts.

It is widely known that labor law is one of the priority directions of private law, one of the reasons for this is that in this area, the right to work recognized and strengthened by the constitution of citizens is often violated.

The essence of the labor relationship, the history of its origin, step-by-step development and most importantly the main direction of the paper - the specificity of the grounds provided by the law for the suspension of the labor relationship and the relation of the mentioned with the current practice in terms of balancing the interests of the parties are discussed within the scope of this work.

Within the framework of the research, the requirements and norms of the national legislation are reviewed and the aforementioned are discussed in relation to the international legal acts, in addition, the author has formulated the general problems related to the above-mentioned issues and the author's recommendations, opinions and ways and means of solving them have been developed in relation to the mentioned processes.